

# კანაფის გავლენა პიროვნების ვიზუალურ ყურადღებაზე

ნატო თავბერიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების დაცვით*

სამაგისტრო პროგრამა: კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალხაზ მაყაშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ბატონ მალხაზ მაყაშვილს, კვლევის პროცესში დახმარებისა და საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების ჩემთვის გაზიარებისთვის; ილიაუნის ფსიქო-ფიზიოლოგიის ცენტრს; ცდის პირებს, რომელთაგან ბევრმა, სრულიად უცხო ადამიანს- საშუალება მომცა ექსპერიმენტი ჩამეტარებინა; ჩემს მეგობრებს, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი ცდისპირთა მოძიებაში; ასევე ილიას უნივერსიტეტის სტატისტიკის ლექტორებს- ქალბატონ ირინა ვარდანაშვილსა და ნინო სხირტლაძეს საჭირო კონსულტაციისთვის.

## სარჩევი

აბსტრაქტი .....	3
<b>Abstract</b> .....	4
შესავალი .....	6
ლიტერატურის მიმოხილვა .....	10
საკვლევი კითხვა.....	22
ჰიპოთეზა .....	23
მეთოდოლოგია .....	24
შედეგები .....	28
კვლევის შეზღუდვები.....	33
გამოყენებული ლიტერატურა.....	35

## აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანი იყო შეესწავლა კანაფის მოქმედება პიროვნების ვიზუალურ ყურადღებაზე კანაფის ხშირ მომხმარებლებში. კერძოდ: რამდენად მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კანაფს მხედველობით ყურადღებაზე თრობის მდგომარეობაში და რამდენად განსხვავდება მხედველობითი ყურადღების ხარისხი ფხიზელ მდგომარეობასთან შედარებით. კვლევაში მონაწილეობდა კანაფის 30 არამწეველი და 30 ხშირი მწეველი. თითოეულმა მათგანმა შეასრულა ორი ყურადღების ტესტი, სადაც დისტრაქტორებს შორის უნდა ამოერჩიათ და შემოეხაზათ სამიზნე ფიგურები. მიღებული შედეგებით დადგინდა, რომ ნარკოტიკით თრობის მდგომარეობაში მყოფმა ცდის პირებმა მეტი შეცდომა დაუშვეს ყურადღების ტესტებში ვიდრე არამწევლებმა. შევადარეთ ტესტის შესრულება კანაფის მოწევამდე და მოწევის შემდეგ (ერთი და იგივე ჯგუფი) 10 დღიანი ინტერვალით. აქაც, ნარკოტიკით თრობის მდგომარეობაში ყოფნისას ცდისპირებმა აიღეს უფრო დაბალი ქულები, ვიდრე ფხიზელ მდგომარეობაში. განსხვავება მოწევამდე კანაფის მომხმარებლებსა და არამომხმარებლებს შორის, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ ყოფილა. მოცემული შედეგების მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰიპოთეზა - კანაფის მოხმარება მყისიერ ნეგატიურ გავლენას ახდენს პიროვნების ვიზუალურ ყურადღებაზე - დადასტურდა.

## **Abstract**

The research was aimed at the study of the effect of cannabis smoking on visual attention. In particular: what degree of influence cannabis has on visual attention during getting high and what is the difference in comparison of the level of visual attention during sobriety. Total of 30 cannabis smokers and 30 nonsmokers participated in the study. Each of them did two attention examining tests where amongst distractors they chose and marked target figures. Test results showed that participants who were high on cannabis made more mistakes in attention tests than sober participants. We compared the results of smokers in 2 situations: right after smoking cannabis and when sober in a 10 days interval. In that case the results showed that participants which were high on, got less points in the test rather when they were sober. The difference between sober smokers and the controlled non-smoker group was also statistically significant- non-smoker got higher scores in tests than smokers, when they were sober. According to results we can tell that the hypothesis about negative influence of cannabis over a person's visual attention has been confirmed.